

აღსუსხე, მეპატრიანო!

საპარტევლოს სპორტის ისტორიაზე პირველად!

დამოუკიდებელი საქართველოს სახელით და დროებით ჩვენზე ნიჭიერად ჩვენი პირველად მოიკოვავს ევროპის ჩემპიონის ტიტული პირად და გუნდურ პირად-ლოგაში. ეს მოხდა ამ დღეებში, ციურისში, მალაშვილის ევროპის ჩემპიონატზე

სტატისტიკა თავისას ითხოვს, მაინც ვისგან იწყება დამოუკიდებელი საქართველოს სპორტული წარმატებების ათვლა?



მისი ხანელი და გვარია ჯამალ შერაბიშვილი, თბილისელი, 28 წლის. საქართველოს ჩემპიონი. ახლა ჯამალი ევროპაში გახდა უძლიერესი დგომელა მკლავებიდში ციურისში გამართულ კონტინენტის ჩემპიონატი. წონა 85 კგ.

პულტავაში!

ზაურ ცხადაძე. წარმოშობით უესტაფონიდანა, სოფელ სვირიდან, 26 წლის. საქართველოს ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი პარაფესიონალებში, „მოსკოვური დათვების“ ტურნირის ვერცხლის მედლის მფლობელი. და... ახლა დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ევროპის ჩემპიონი. წონა 185 კგ.

პულტავაში!

ქმალ შერაბიშვილმა შეიღო ბრძოლა ჩაატარა და შეიღვე მოიგო, თანაც ყოველ გამარჯვებას მხოლოდ რამდენიმე წამს ანდომებდა — გვიტხრა საქართველოს მკლავების ფედერაციის პრეზიდენტმა დევიდმა მთავარმა მწვრთნელმა ვახტანგ მუსხელიანმა, რომელსაც სულ რამდენიმე დღის წინ რედაქციაში დავეულოეთ გზა შევიცარიანო გამგზავრების წინ. ახლაც, გუნდი შინ დაბრუნდა თუ არა, ვახტანგი კვლავ გვეყვება რედაქციაში და ქართველ მკლავებიდელთა წარმატება გვახარა.

ზაურ ცხადაძემ — განაგრძობს ვახტანგი, უთანასწორო ბრძოლები ჩაატარა, ვერც ერთმა მეტოქემ ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია, იგი მიყოლებით იგებდა ყველა პაექრობას.

გვამავს პრიზორებიც. ვერცხლის მედალს დაუფლანენ გელა ბეწუაშვილი (თბილისი), ლერი ხალღიანი და ერეკლე გურჩიანი (ორივე — მესტია).

პულტავაში!

მისამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ გია გვიჩიანი (მესტია), კობა თოდაძე (საჩხერე) და ზაზა გუგუნიშვილი (თბილისი).

პულტავაში!

პართული სპორტის ისტორიაში ასევე პირველად საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახელით არენაზე მსაჯობდა ირაკლი შიშველი (თბილისი). საგულისხმოა ისიც, რომ ასპარეზობის გახსნისთანავე პირველი წყვილის პაექრობის მსაჯობა საქართველოს წარმომადგენელს მიანდეს.


სპორტის

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი


31 მაისი, პარასკევი, 1991 წ.

№ 100 (10 518) • ფასი 10 კაპ.


გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან




ქმალ შერაბიშვილი




ზაურ ცხადაძე



გელა ბეწუაშვილი



ერეკლე გურჩიანი



ლერი ხალღიანი



კობა თოდაძე



ზაზა გუგუნიშვილი



გია გვიჩიანი

სპორტის

დეპარტამენტი და

ფედერაციები

ნიჩბოსნობა — ავტოსნობა

სპორტის ამ სახეობათა რესპუბლიკური ფედერაციის დამფუძნებელ ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი ანზორ კლიკაძე, ვიცე-პრეზიდენტად — საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს უფროსი ჯემალ ჭიღარია, სპორტის დეპარტამენტის მთავარი მწვრთნელები ნიჩბოსნობის სახეობებშია და აფროსნობაში — გიორგი ელბაქიძე და თამაზ ზოიძე, გენერალურ მდივანად — გრიგოლ ფოცხიშვილი.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის დირექტორი კახი ასათიანი.

ვადა გაგრძელდა

სპორტულ ნარდში კომერციული ფირმა „ვესტას“ დიდ პრიზზე ტურნირში მონაწილეობის მსურველთაგან განცხადების მიღება გაგრძელდება. 5 ივნისამდე.

როგორ გავით სპორტ გულბინსპირალებო?

სამართალი არც ფილდშია

ფილდ-ს გენერალური ასამბლეის დადგენილებით 25-26 მაისს, საბერძნეთში, კუნძულ როდოსზე გამართულ ფილდ-ს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა გადაწყვეტილიყო აღადგინდნენ თუ არა ფილდ-ს წევრად ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ეროვნულ საკლარაო ფედერაციებს. ერთი შეხედვით, თითქმის ეს პრობლემა არ უნდა ყოფილიყო ძნელი გადასაჭრელი, რადგან საქმე ეხებოდა საერთაშორისო საკლარაო ოჯახში მისივე ყოფილი წევრების დაბრუნებას, მაგრამ... როცა საქმე საქმეზე მიდგა, წინა პლანზე კვლავ პოლიტიკა წამოტივტივდა.

ფილდ-ს აღმასკომზე ფარად მოიშველიეს ამბვე ორგანიზაციის წესდების ის მუხლები, სადაც ჩაწერილია, რომ „ერთი ქვეყანა — ერთი წარმომადგენელი“ და „ფილდში შემაჯალი ფედერაცია უნდა წარმოადგენდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ან მეთვალყურე ქვეყანას“. ბალტიისპირეთში გაპაროტესტეს უარის მოტივი, რადგან წესდების სხენებულ მუხლებში ფილდში ბალტიისპირეთის წევრობის შეწყვეტის შემდეგაა მიღებული.

და მაინც, საკითხის განხილვა გადაიდო.

ზურაბ ნიჭარია

საპარტევლოს ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნოვას

საპარტევლოში მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ რაიონებში: საჩხერეში, ქიათურაში, ონში, ამბროლაურში, ცაგერში შეუძლებელი გახდა ერთგული ჩემპიონატის მატჩების ჩატარება. თავიანთი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამ რაიონის გუნდები გამოეთიშნენ 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატს, ამასთან, გაუქმდა აღნიშნული გუნდების მიერ ჩემპიონატი ნათამაშევი ყველა შეხვედრების შედეგი.

საჩხერის „ჩიხურას“ და ქიათურის „მალაროელს“ საქართველოს 1991-92 წლების III ჩემპიონატში მათი სურვილის გათვალისწინებით დაუშვებენ I ჯგუფში, ამბროლაურის „რაქას“ და ონის „მამისონს“ — III ჯგუფში, ცაგერის „ხვამლს“ და ქიათურის „მშენებელს“ — V ჯგუფში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფინანსურ დახმარებას გაუწევს ზემოთ აღნიშნულ გუნდებს.

ცვლილება შეტანილი საქართველოს 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატისა და 1991-92 წლების საქართველოს III ჩემპიონატის დეპარტამენტში, პირველ ჯგუფში აღვილის შესანარჩუნებლად მიმდინარე ჩემპიონატის II ჯგუფის ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები ერთ მატჩს ნეიტრალურ მოედანზე ფიფას წესებით გამართავენ პირველ ჯგუფში მე-15, მე-16, მე-17 და მე-18 ადგილებზე გასულ გუნდებთან.

საპარტევლოს

პროფესიული

ჩემპიონატი

ფეხბურთი

შალისი ჯაშო

გუშინ გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XIV ტურის ფეხბურთის შალისი ჯაშოში გახდნის შემდეგ:

„ალაზანი“ (გურჯაანი) —
„მირანი“ (ოჩამჩირე) 1:0

„სულორი“ (განი) —
„შევარდენი-1906“ (თბილისი) 2:3

„მარგვეთი“ (უესტაფონი) —
„ივერია“ (ხაშური) 4:1

„იბერია“ (თბილისი) —
„სამგურალი“ (წყალტუბო) 4:0

„გურია“ (ლანჩხუთი) —
„მზიური“ (გალი) 5:2

„გორდა“ (რუსთავი) —
„სანავარდო“ (სამტრედია) 4:0

„ქუთაისი“ (ქუთაისი) —
„კოლხეთი“ (ზობი) 2:1

„კოლხეთი-1918“ (ფოთი) —
„დილა“ (გორი) 2:0

„ხათუმი“ (ბათუმი) —
„მერცხალი“ (ოშურგეთი) 1:0

31 მაისი — მსოფლიო დღე თამბაქოს გარეშე!

ქობაძე, მსპერმეზბი!

● დღეგანდელი ნომერი დამუშავებულია

● თამბაქოს წავის გადაჩვევისათვის



როგორც მკითხველებს უკვე ვაუწყებდით, ღელს „ლელო“ ატარებს ექსპერიმენტს — თამბაქოს წვევის გადაჩვევა ვაპრობირებთ.

● თამბაქოს წვევის გადაჩვევისათვის

● დღეგანდელი სრული სიწყნარე; ● დაქვეით თავისუფლად, ან დაწვეთ, მოაღწეოთ ჯერ ქვედა, შემდეგ ზედა კიდურების კუნთები.

● გაზეთი დათვალვით პირველი გვერდიდან ბოლო გვერდამდე და ყურადღება შეაჩერეთ თქვენთვის განკუთვნილ კონსულტაციებზე და ცხრილებზე;

● დაიწყეთ მისი კითხვა ისე, რომ უოველი სიტყვა გონებაში გააღრმავოთ, გაანალიზოთ (ხერხეულად, ავტომატურად ნუ წაიკითხავთ);

● კითხვის დროს შეიძლება ჩაგთვლით ან დაგეძინოთ, თავს ნუ შეეწინააღმდეგებთ, ჩიბინეთ და ერთბაშად ნუ გამოიფხიზლებთ;

● თამბაქო, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ აღამიანისათვის ძალიან მავნებელია. მავნებელია ბოლო და განსაკუთრებით ნიკოტინი, რომელიც ასე დამლაშებლად მოქმედებს სისხლძარღვებზე, თავის ტვინზე და ფილტვებზე.

● მავნებელია მათთვის, ვინც ეწევა, ხოლო ვინც არ ეწევა და მის კვამლს სუნთქავს, უფრო მეტად ცხარდება. არც ერთ ადამიანს არ სურს ნაკუთარ თავს სასტიკი განაჩენი გამოუტანოს, არადა, თამბაქოს წვევისაგან მრავალი მძიმე დაავადება, მათ შორის პირველ ყოვლისა, ფილტვების კიბო ვითარდება.

● მახათვის, მე, ღლეიდან შემომცდრდება სიგარეტის, ჩიბუნის, პაპროსის მოწვევის სურვილი და დღითიდღე სულაც გამიქრება. ყოველი შემდეგი სიგარეტი, რომელსაც მე მოწვევ სულ უფრო ნაკლებ სიამოვნებას მომანიჭებს წინასთან შედარებით. თანდათან იმ დასკვნამდე მივალ, რომ სიგარეტის წინააღმდეგ ვიქნები და მოწვევისას გული ამერევს. აღარ შექნება ხერხილი მოწვეო თუნდაც მწვეველთა შორის ვიყო (გაიმეორეთ 3-5-ჯერ). არასოდეს მომეხატრება მოწვევა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბოლის სუნი არ შემეზიზნება. ჩემი განმრთვობა სრულიადაც არ დაზარალდება თუ წევს თავს დავა-

ნებებ, თავს უკეთ ვიგრძობ და მალე განვიკურნები მისი მოთხოვნისაგან.

● ვეღარავინ და ვერავითარი ძალი ვერ მიძულებს კვლავ დაიწყო. წევს. მე უკვე მივიღე ბოლო გადაწყვეტილება და ჩემს სიტყვას არ გადავალ. ეს ასე მსურს მე და ჩემს ტვინის ცენტრებს. აი, მე უკვე ვგრძნობ თუ როგორ ვანებებ თავს სიგარეტს, ვანებებ თავს სიგარეტს და თავს ბედნიერად ვგრძნობ. (გაიმეორეთ 3-5-ჯერ). აი, ვგრძნობ თუ როგორ ვიზღვებ იწვევს ჩემში სიგარეტის ბოლი და როგორ მიღვივდება სიძულვილი სიგარეტის მიმართ. (გაიმეორეთ 3-5-ჯერ) როცა ვხედავ, რომ სხვები ეწევიან ისიც კი მოქმედებს ჩემზე და მიხდება, რომ თვალს ავარიდო. ჩემი ბოლო გადაწყვეტილებაა უსიგარეტოდ ცხოვრება, რომელსაც ღლეიდან შევასრულებ. ღლეიდან არ მოვწევ არც ერთ სიგარეტს (გაიმეორეთ 3-5-ჯერ).

● როდესაც მე თვალს ვავახულ სიგარეტის მოწვევის სურვილი გამიქრება. გამიქრება, გამიქრება.

● ახლა შეგიძლიათ რამდენიც გინდათ მოსწოთ და სულ უფრო ნაკლებ სიამოვნებას მიიღებთ. ალარასოდეს მოგინდებთ მოწვევა და სამუდამოდ დაანებებთ თავს სიგარეტის მოწვევას. თანდათანობით იგრძნობთ თამბაქოსადმი სრულ ზიზღს და აღარ შეეცდებით შეიცვალოთ ეს გრძობა. იგი გააქვეყნათ მანამ, სანამ საბოლოოდ არ მიატოვებთ ამ უხეირო ჩვევას.

● შენიშვნა: შეიძლება ტექსტი რამდენჯერმე წაიკითხოთ ხელ-ფეხი დაგვიძინდეთ, დაგმუცდეთ, იგრძნობთ ჩხვლეტები თითებში, ტანში შეგაცხელით, რამდენიმე წამით გული ავიწყრდეთ, თუ რაიმე გაუწუხებთ რეაქციას მოგცემთ, მაგრამ ნუ შეშინდებით, ყველაფერი გაივლის.

● ღლეში ნაიტარეთ ორჯერ 8 საათის ინტერვალით, მეორე სეანსი სასურველია ნაიტარეთ ძილის წინ და ჩაიხინების შემთხვევაში გააგრძელოთ ძილი. შესაძლოა განთავისუფლდეთ იმ დღეებისაგან, რომელიც გაწუხებთ.

● რედაქცია და ექსპერიმენტატორი მივსალმებთან გაზეთის იმ მკითხველებს, რომლებიც აქტიურად ჩაებმებიან ჩვენს ექსპერიმენტში, განსაკუთრებით კი იმთ, ვინც ამ ექსპერიმენტის დეტალურ შედეგებს მოგვამწვდის. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გულდასმით შეავსეთ, ხაზი გაუსვით შედეგებს და გამოგზავნეთ რედაქციაში კონკრეტულ წარწერით „ექსპერიმენტის“ სასურველია 10 სეანსის შემდეგ წერილობითაც მოგვმართოთ.

ტაი-სი სიუანის მეორე ეტაპი: ტაი-შუ-„ხელისკრის ხელოვნება“



„ცეჩად არეკლა, უკუხვლა, შემდეგ — მიწოლა და კვრა: აი, ტაი-ცის ტექნიკის საფუძველი...“

● 19 აპრილი) საუბარი დაიწყო ტაი-ცი ტუანის მეორე ეტაპის შესახებ: მეცადეთ, ვანგვემარტს ამ წვეილური კომპლექსის ძირითადი პრინციპები. აღწერეთ ოთხი მთავარი მოძრაობა, მათი თანმიმდევრობა ვარჯიშის შესრულების დროს, პარტნიორთა საწყისი პოზიციების ვარიანტები და მოძრაობის წესი.

● დღეს ვაგრძელებთ საუბარს. დაიწყეთ ტუი-შუს კომპლექსის ვარჯიშის საფუძვლები.

● პირველი საფეხურია „ცალი ხელით კრისა და ნეიტრალიზაციის ხელოვნება“ (ფიქსირებული ნაბიჯით). ამ ვარჯიშის შესრულებისას საწყისი პოზიციია „პო-პუ“ — მდგომარეობა: პარტნიორები დგანან ერთმანეთის პირისპირ და ურთიერთ-შესახვედრად გადგმული აქვთ ნაბიჯი ერთმანეთს (მაგ. მარჯვენა) ფეხით; წინააღმდეგობა ფეხის ტერფები ერთმანეთის ვერძელზე; ურთიერთპარალელურად დგანან; ურთიერთპარალელურად აგრეთვე წინააღმდეგობა ფეხთა წვეილებზე (იხ. სქემა წინა პუბლიკაციაში).

● კორპუსი ორივე პარტნიორს სწორად, ვერტიკალურად უჭირავს, მაგრამ წინააღმდეგობა ფეხი ორივეს აბიძგებს ერთმანეთის მიმართ იდგნენ არა „ფრონტალურად“, არამედ ოდნავ შებრუნებით, წინ მარჯვენა მხარესაა მიმართული. ამ დროს არ უნდა მოიხიროთ წელები, არ უნდა შესრულდეს ტორსით მოძრაობა სხეულის ვერტიკალური ღერძის გარშემო. ფიქსირებული ნაბიჯით წვეილური ვარჯიშების შესრულებისას პარტნიორთა გადაადგილება სივრცეში უნდა მოხდეს მხოლოდ ზედა, მუხლის და კოჭის ხახრებზე მოძრაობის ხარჯზე, სხეულის ნაწილები კი უდასრულებლად იქნება კისრამდე და მხოლოდ ერთმანეთის მიმართ უძრავობას უნდა ინარჩუნებდნენ.

● ხელების მდგომარეობა: პარტნიორი „ა“ იმყოფება რა უკანა დგომში, მარჯვენა იდაყვი ჩამოშვებულია (45 გრადუსით პოზიციონირდება). მარჯვენა ხელის მტევანი „მიწებულა“ პარტნიორის მარჯვენა მარჯვენა (ნახ. 2-ა და 3-ა).

● პარტნიორი „ბ“ კი იმყოფება წინა დგომში, მისი მარჯვენა ხახხარი იატაკის პარალელურია, ხოლო ხელის წევი მიმართულია საკუთარი შვერდისაკენ.

● ფეხების მუშაობა: პარტნიორი „ა“ — დაწოლისას, რომლის დროსაც „ა“ გადის წინა დგომში, პარტნიორი „ბ“ ავტომატურად „უსხლტება (უტეორდება)“ უკანა დგომში გადაადგილებით ანუ პარტნიორი „ა“ — დაწოლის დროს პარტნიორი „ბ“ უკუიქცევა; ხოლო შემდგომ პარტნიორ „ბ“-ს დაწოლის დროს უკუიქცევა პარტნიორი „ა“.

● პირველი გადაადგილება: „კვრა — არეკლა მარცხნივ“ (ნახ. 2-ბ და 3-ბ):

● პარტნიორი „ა“ — ასრულებს კვრას მარჯვენა მტევნით წინ (მთელი ნაბიჯის 1/4 ნაწილით წინ წაწევი).

● პარტნიორი „ბ“ — ირეკლავს ამ კვრას მარცხნივ წრეწრის 1/4 ნაწილით და უკანაწევი მარცხნივ შემობრუნდება (ასევე მთლიანი ნაბიჯის 1/4 ნაწილით).



● მეორე გადაადგილება: „კვრა — არეკლა მარჯვენა“ (ნახ. 2-გ და 3-გ):

● პარტნიორი „ა“ — აგრძელებს პარტნიორ „ბ“-ს კვრას თავისი მარჯვენა მტევნით (მთლიანი ნაბიჯის 2/4 ნაწილის წინაწევი).

● პარტნიორი „ბ“ — ტრიალდება მარცხნივ და ირეკლავს ამ კვრას მარჯვენა წრის შემდგომ 1/4 ნაწილით (ნაბიჯის 2/4 ნაწილის უკანაწევი).

● მესამე გადაადგილება: „კვრა ხე-მოთვენი — შემოწრიული უკან ჩათრევა“ (ნახ. 2-დ და 3-დ):




● პარტნიორი „ა“ — იგრძნობს რა პარტნიორ „ბ“-ს მარჯვენა მარჯვნივ მოტრიალებას, „ა“ შეუტრევა „ბ“-ს



● პარტნიორ „ბ“-ს ტანი უკან გაცურდება, უთმობს რა ამით პარტნიორ „ა“-ს დაწოლის ძალას, რომელიც გამოსხვიდება პარტნიორ „ა“-ს მტევნიდან (მთლიანი ნაბიჯის 4/4 ზღვრული უკანაწევი).

● შემდგომი გადაადგილებები: შემდეგ პარტნიორი „ბ“ იწყებს დაწოლას და იყენებს ყველა იმ ილეთს და მეთოდს, რასაც აქამდე იყენებდა პარტნიორი „ა“; ასევე იყენებს პარტნიორი „ა“ ყველა იმ ილეთს და მეთოდს, რასაც მანამდე იყენებდა პარტნიორი „ბ“.

● როგორც ხედავთ, დაწოლა-არე-



● კვლის მოძრაობის მთელი მიმდევრობა შეადგენს შეკრულ წრეს, ანუ ინ-იანის სიმბოლოს (ნახ. 1 და ნახ. 3).

● საბოლოოდ სულ გამოდის რვა გადაადგილება (ოთხი წინ და ოთხი უკან). ყველა ეს მოძრაობები, როგორც უკვე ვიცით, სრულდება თანმიმდევრულად, შეუტრებლივ, ნელ ტემპში, მდორდრად.

● დასაწყისში ჯერ შეეცადეთ იითვისით ინ-იანის სიმბოლოს გამოხატვა პაერში მარჯვენა ხელით და მარჯვენა წინაწევილი ფეხით (პირველი ვარიანტი). შემდეგ მარჯვენა ხელში შეეცადეთ მარცხენათი, ხოლო მარჯვენა ფეხი დატოვეთ ადგილზე (მეორე ვარიანტი); შემდეგ მარცხენა ხელით და მარცხენა წინაწევილი ფეხით (მესამე ვარიანტი) და მარჯვენა ხელით და მარჯვენა წინაწევილი მარჯვენა ფეხით (მეოთხე ვარიანტი)...

● ეს ყველაფერი უკვე ტაი-ცის პროზა ყოველდღიური საშუალო.

● ივარი შეინახვილი სპეციალურად „ღელსოხათვის“ (გაგრძელება იქნება).

Table with 7 rows and 4 columns for a Taijitu experiment. Columns: No., Name, Gender, Date. Rows include names like 1. ივანიძე და არა, 2. ჩაგვლიძე და მრ, etc.

კვირფასო რედაქცია! ამას წინათ მოვიხმინე, რომ ვლადიმერ გოგოლაძემ მოწვეულია მისი...

კვირფასო რედაქცია! ამას წინათ მოვიხმინე, რომ ვლადიმერ გოგოლაძემ მოწვეულია მისი...

კვირფასო რედაქცია! ამას წინათ მოვიხმინე, რომ ვლადიმერ გოგოლაძემ მოწვეულია მისი...

კვირფასო რედაქცია! ამას წინათ მოვიხმინე, რომ ვლადიმერ გოგოლაძემ მოწვეულია მისი...

კვირფასო რედაქცია! ამას წინათ მოვიხმინე, რომ ვლადიმერ გოგოლაძემ მოწვეულია მისი...

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

ჩემპიონთა თასი — „სრვენა ზეზდას“

29 მაისს იტალიის ქალაქ ბარში, საგანგებოდ მსოფლიო ჩემპიონატისთვის შარშან აგებულ ახალ სტადიონზე, გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების ყველაზე პრესტიჟული პრიზის — ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადის „ცრვენა ზეზდა“ და საფრანგეთის ქალაქ მარსელის „ოლიმპიკ მარსელი“.

ნათ არაერთხელ უთამაშიათ ჩემპიონთა თასის ფინალში, იუგოსლავიელები კი მხოლოდ ერთხელ, 1966 წელს იყვნენ ფინალის მონაწილენი, ეს გახლდათ ბელგრადის ცნობილი „პარტიზანი“. „ცრვენა ზეზდა“ და „მარსელი“ კი პირველად მოიპოვეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში მონაწილეობის უფლება. თამაში, ცხადია, უდიდესი ინტერესი გამოიწვია, სტადიონის

ტრიბუნებზე იყვნენ იუგოსლავიიდან და საფრანგეთიდან ჩამოსული გულშემატკივრები. მრავალ იყვნენ უფასო წარმომადგენელი ოფიციალური პირები და, კერძოდ, ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი შვედი ლ. იოჰანსონი.

საერთო ნერვული ატმოსფერო პირველივე წუთებიდან ფეხბურთელებსაც დაეტყო. ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო რამდენიმე მაინც გამოკვეთილი ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება: თამაში უმთავრესად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა. მაინც, ასე თუ ისე, იგრძნობოდა ფრანგების მეტი აქტიურობა, მათ შორის გამოირჩეოდნენ ბოლი, პელე, მოზერი, უოდლი, რაც შეეხება გუნდის მთავარ შემტევ ძალას და კაპიტანს პაპენს, იგი ამ მატჩში ზედმეტად ფრთხილობდა და თავს არიდებდა სახიფათო გამწვავებას. იუგოსლავიელებმა საიმედოდ გადაკეტეს ნახევარდაცვის ზონა, სადაც შესანიშნავი თამაშით გამოირჩეოდა პროსინჩიკი.



იუგოსლავიელები გამარჯვებას ზეიმობენ.



მატჩის ეპიზოდი; იუგოსლავიელმა პანჩევმა გამარჯვების პენალტი გაიტანა.

განვლო მატჩის ძირითადმა 90-მა წუთმა, გოლის გატანა კი ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო. დაინიშნა დამატებითი დრო, რომელიც ასევე უშედეგოდ დამთავრდა. საქმე მიდგა მატჩის შემდგომ დამატებით 11-მეტრიანებზე, აქ კი უფრო ზუსტნი იუგოსლავიელები აღმოჩნდნენ და როცა პენალტების სერია დასრულდა, იტალიელმა არბიტრმა ტ. ლანჯემ (მან საუკეთესოდ იმსახა) აღნიშნა „ცრვენა ზეზდას“ გამარჯვება — 5:3.

ამრიგად, 1991 წლის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა ბელგრადის „ცრვენა ზეზდა“, რომელმაც ჩიბარა კიდევ საპატიო პრიზი. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ჩემპიონთა თასის ბედს დამატებითი 11-მეტრიანების სერია წყვეტს. ასე იყო

1984 წელს, როცა ინგლისის „ლივერპულმა“ დაამარცხა იტალიის „რომა“, 1986 წელს, როცა რუმინეთის „სტიაუა“ მოუგო ესპანეთის „ბარსელონას“ და 1988 წელსაც, როცა პოლანდიის „ეინდჰოვენმა“ აჯობა პორტუგალიის „ბენფიკას“. 1974 წელს კი მიუნხენის „ბაიერნისა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფინალურ შეხვედრაში საჭირო შეიქნა ხელახალი მატჩის გამართვა მეორე დღეს. მაშინ გამარჯვა „ბაიერნი“.

უცხოეთის პრესა აღნიშნავს, რომ განვლილი ფინალური მატჩი „ცრვენა ზეზდასა“ და „მარსელს“ შორის უაღრესად დამაბულ, ნერვულ ვითარებაში წარიმართა, მაგრამ ინციდენტები და უბედური შემთხვევები სტადიონზე არ მომხდარა.

თანამედროვე ოლიმპიადები — პირველიდან ოცდაათხუთამდე

კალიფორნიული პროგნოზები

შეერთებულმა შტატებმა, უფრო ზუსტად კი ლოს-ანჯელესმა, საკმაოდ იოლად, ფაქტობრივად, უბრალოდ მიიღო X ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება, რაც, პირველ ყოვლისა მოახლოებული ეკონომიკური კრიზისით იყო განპირობებული. აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტი ჰუვერი თვალნათლივ ხედავდა დიდი რეალური გზის არსებობას. ამერიკას, რა თქმა უნდა, შეეძლო უარი ეთქვა ოლიმპიადის ჩატარებაზე, მაგრამ მაშინ მას თავისი ავტორიტეტიც უნდა შეერყია. შეეძლო ნელ-ნელა ჩაშლის პირამდე მიეყვანა თავად იდეა, მაგრამ მაშინ საფრთხეში აღმოჩნდებოდა მისი კეთილი სახელი. ეს რომ არ მომხდარიყო და მთელს ქვეყანას დაენახა, რას ნიშნავდა

ამერიკული ძლიერების დამაბრუნებელი მესამე და ყველაზე გონივრული მხარდაჭერის გზა აიჩნია. ოლიმპიადის სამზადისი თავიდანვე ეროვნული ღირსების საქმედ გამოცხადდა. ჯერ მარტო ლოს-ანჯელესის მუნიციპალიტეტმა სპორტული ნაგებობების მშენებლობისთვის რამდენიმე მილიონი დოლარი გამოჰყო (ეს მაშინ საკმაოდ დიდი თანხა იყო). დიდძალი სახსრები გაიღეს კალიფორნიის შტატის მმართველობამ და ფედერალურმა დაწესებულებებმაც.

კარგად გათვლილმა და ყოველმხრივ გაწონასწორებულმა სამზადისმა ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. სარეკორდოდ მოკლე დროში დამთავრდა „კოლიზიუმის“ სტადიონის რეკონსტრუქცია. ბევრი სიახლე შეიტანეს სხვა ბაზების მშენებლობაშიც. სპორტსმენთა დასაბინავებლად და საცხოვრებლად გამოყენებულ იქნა „ოლიმპიური სოფლის“ პრინციპი. ლოს-ანჯელესიდან 20 კილომეტრის მოშორებით გამოიყო ტერიტორია, რომელზეც აშენდა 700 კომფორტული ბინა. აქ თანაბარ პირობებში ცხოვრების უფლება მიეცათ სხვადასხვა კანის ფერისა და რწყენის ადამიანებს.


ლოს-ანჯელესის X ოლიმპიადის (1932 წელი, 30 ივლისი — 14 აგვისტო), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 37 ქვეყნის 1048 სპორტს-

მენმა (მათ შორის 127 ქალმა), მძლავრი შოკისტური დაპირისპირების ატმოსფეროში ჩატარდა. საქმე ის გახლავთ, რომ მსოფლიო ამ დროისთვის უკვე მოწამული იყო გერმანული მოლიტარიზმის რევანშისტული იდეებით. ამას სხვებზე მეტად იმ ქვეყნების წარმომადგენლები გრძობდნენ, რომლებსაც უშუალოდ ემუქრებოდა ფაშისმი. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ პოლონელი და ფრანგი სპორტსმენები ყოველივე გერმანულს ბოიკოტს უცხადებდნენ. ხშირად ესა თუ ის უმტივრეულო ინციდენტი საბოლოოდ ხელჩართული ბრძოლით მთავრდებოდა. იტალიელი მოქიდავე მ. ნიკოლა გასახლეობს დანიით გამოეყიდა გერმანელ ი. ბრენდელს, რომელიც მსაჯების მხარდაჭერით ჩემპიონი გახდა. ბრაზილიელმა წყალბურთელებმა კი ჩხუბი აუტენეს გერმანის გუნდის გულშემატკივრებს, მერე კი საგულდაგულად გაუსწორდნენ გერმანელ მსაჯს. სპორტსმენთა მტრული განწყობილება ზოგჯერ ტრიბუნებზეც გადადიოდა და პოლიციას მთელი დაცვირთვით უხდებოდა მუშაობა.

რაც შეეხება X ოლიმპიადის სპორტულ მნიშვნელობას, იგი საყვებით შეესაბამებოდა ეპოქის მოთხოვნებს.



100 მეტრზე რბენაში გამარჯვებული პოლონელი სტანისლავ ვალახევიჩი.



X ოლიმპიადის საზეიმო გახსნა.

ლოს-ანჯელესში გაუმჯობესდა ოლიმპიური თამაშების 41 რეკორდი, რომელთაგან თვრამეტი ოფიციალურ მსოფლიო რეკორდებს აღემატებოდა. რეკორდების ცხრილში, ტრადიციულად, ყველაზე ბევრი შესწორება მძლეოსნებმა შეიტანეს. მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა შედეგები ცურვაშიც, ძალოსნობაშიც. განსაკუთრებით გახმაურდა იაპონიის მოცულობითა გამარჯვება ამერიკელებზე.

ოლიმპიური თამაშების გეოგრაფია ხშირად თავისებურ გავლენას ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, განსაკუთრებით, როცა თამაშებში მონაწილეობა დიდ სატრანსპორტო ხარჯებითაა დაკავშირებული. სწორედ ამ მიზეზით ლოს-ანჯელესს ცაილებით ცოტა სპორტსმენი ეწვია, ვიდრე, ვთქვათ, პარიზს ან ამსტერდამს. კალიფორნიაში მეტწილად ის სპორტსმენები ჩავიდნენ, რომლებსაც წარმატების გარკვეული შანსები ჰქონდათ. ამიტომ გასაგებია, რატომ იყო მეხუთე უცხოელი თამაშების პრიზიორი.

ლოს-ანჯელესში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მძლეოსნები — ფინელი მატე იარვიენი, პოლონელი იანკა კუსორინსკი, ირლანდიელი ჰეტრიკო კალაჰანი და ამერიკელი ედი ტოლანი, იარვიენმა იმ დროისთვის ფანტასტიკური მსოფლიო რეკორდი დაამყარა შუბის ტყორცაში (72 მ. 71 სმ). ამ მიღწევის უკვდავსაყოფად ჰელსინკის სტადიონის შესასვლელში აშენდა კოშკი, რომლის სიმაღლე ზუსტად შეესაბამება მსოფლიო რეკორდს.

იანკა კუსორინსკიმ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა და რეკორდსმენმა 10 კილომეტრზე რბენაში, განსაკუთრებული პოპულარობა მოიხვეჭა პოლონეთში პიტლერეთა ოკუპაციის დროს. პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი დაიღუპა როგორც ჰეშმარტიც ბატრიოტი, ერის შვილი.

ედი ტოლანი ოლიმპიადების ისტორიაში შევიდა როგორც პირველი შავკანიანი ჩემპიონი. მან სამი ოქროს მედალი მოიპოვა 100 და 200 მეტრზე რბენასა და ესტაფეტაში 4X100 მეტრზე. ბატრიკო კალაჰანი კი (ოქროს მედალი უროს ტყორცაში) უნიკალური მოგონება იყო სპორტში თავისი უნივერსალიზმით. იგი ერთნაირი წარმატებით ასპარეზობდა უროს ტყორცაში, სიმაღლეზე ხტომაში, საშუალო მანძილებზე რბენაში, მრავალკიდასა და თქვენ წარმოიდგინეთ, კრივშიც.



ოლიმპიური ჩემპიონი ფარიაობაში ელენე მიულერ-პარაისი (ავსტრია).

როგორ განაწილდა გუნდური ადგილები და მედლები?

	ო.	3.	ბ.
აშშ	41	82	80
იტალია	12	12	12
გერმანია	4	12	5
შვეიცია	9	5	9
ფინეთი	5	8	12
იაპონია	7	7	4

ჩვენნი რა საკმეა, მარამ...

ელბის „ჭრელი“ ზნე-ჩვეულებანი

ჩოგბურთის აღიარებული
ოსტაბანი ყოველთვის
იპარობდნენ უარდლებას,
ცხადობა, არა მარტო ლაშაში,
უწყობარი თამაშით. მსოფლიოს
ჩოგბურთის ისტორიას, ალბათ,
არ ახლოვს ისეთი ზიკვარული
ზნე-ჩვეულებანი და ჩვეულებანი
ვალბა, 80-იანი წლების
ჩოგბურთის ლიბერალი რომ
იპყვინდეს.




ზვიად გომბაური

ქალიშვილი სამანტა ფრანკელი.
მამაკაცებს არც ქალები — მსოფლიო ჩოგბურთის დედოფლები — ჩამორჩნენ. კრის ევერტი, მისივე აღიარებით, ხშირად მარტოებოდა საერთაშორისო ტურნირებში სასიყვარულო თავგადასავლების გამო. სამაგიეროდ, მისი მუდმივი მეტოქე მარტინა ნავრატოლოვა ამ „საკმეში“ „ერთგული“ და „უღალატო“ მან „შეიღწია“... ერთ დროს ტენისის უმშვენიერეს ქალად აღიარებული ჯული ნელსონი.

მაგრამ ახლა პიანტური ისტორიებისთვის არავის სცალია — დაიწყო საფრანგეთის ღია ჩემპიონატი — სახელგანთქმული „როლიან გაროსის“ ტურნირი, ფაქტობრივად, არაფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი მიწის კორტებზე, რომლის დამთავრების შემდეგ დაიწყება უიმბლდონი. როგორც ცნობილია, ეს ორი ტურნირი და მათთან ერთად ამერიკისა და ავსტრალიის ღია ჩემპიონატები შეადგენენ „დიდი მუხარადის“ გათამაშებას. სტატისტიკის მოყვარულებს შეეახსენებთ, რომ ერთ წელს ოთხივე ტურნირში ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე გაიმარჯვა ამერიკელმა დ. ბაქმა, შემდეგ კი, 1962 და 1969 წლებში — გამოჩენილმა ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა რ. ლეივერმა. ქალთაგან ასეთსავე წარმატებას მიაღწიეს: 1953 წელს მ. კონოლიმ (აშშ), 1970 — მ. სმიტ-კორტმა (ავსტრალია), 1988 — შ. გრაფმა (გერმანია).

ფან ლენდო, შტეფი გრაფი და მარტინა ნავრატოლოვა უსათუოდ შეეცდებიან დაიბრუნონ მსოფლიოს პირველი ჩოგანის სახელი. ახლა მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველნი მოიხსენიებიან სტეფან ედბე-



მარტინა ნავრატოლოვა



ბიორნ ბორგი



ჯონ მაკინროუ

რგი და მონიკა სელეში, მაგრამ მათ მსოფლიო ჩოგბურთის აღიარებულ ლიდერებად ჯერ არ თვლიან. 1990 წელს „დიდი მუხარადის“ ოთხივე ტურნირში ოთხმა ჩოგბურთელმა გაიმარჯვა: ვაქეში — ივან ლენდო, ანდრეა გამეშა, სტეფან ედბეგმა და პიტ სამპრასმა, ქალთა შორის — შტეფი გრაფმა, მარტინა ნავრატოლოვამ, მონიკა სელეში და გაბრიელა საბატინი. თუ გავიხსენებთ იმას, რომ ამ ტურნირებში არცთუ დიდი ხნის წინ გაიმარჯვეს მათს ვილანდერმა, ანდრე აგასიმ, მიკელ ჩანგმა და არანტა სანჩესმა, ნათელი გახდება, რატომ დაიწყო წლებადღეს სეზონი ერთპიროვნული ლიდერების გარეშე.
თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ჩოგბურთის „მეფე-დედოფლის“ „ტახტი“ თავისუფალია. წელს ქსტალიის ჩემპიონები გახდნენ ბორის ბეკერი და მონიკა სელეში, მალე შევითვობთ „როლიან გაროსის“ ჩემპიონთა ვინაობასაც, არც უიმბლდონია „მორს“. ერთი სიტყვით, მომავალი ბევრ საინტერესოს გვპირდება.

რა ისინი უსხოთიდან? „ჩიკაგოს“ თავი ქაღვი აქვს 306 იქნება შედეგი?

ცნობილი ვახდა ნბას (კალათბურთის ეროვნული ასოციაცია) ჩემპიონატის ერთ-ერთი ფინალისტის ვინაობა. ეს ვახლავთ მიკელ ჯორდანის გუნდი „ჩიკაგო ბულსი“, რომელმაც მშრალი ანგარიშით (4:0) დაამარცხა შარშანდელი ჩემპიონი „დეტროიტ პისტონსი“ და ახლა ელოდება „ლოს-ანჯელეს ლიკერსისა“ და „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის“ უარესად დამარცხება და პრინციპული ბრძოლის შედეგს.
„დეტროიტის“ წლებადღეს წარუმატებლობა ალბათ მინც კანონზომიერია თუნდაც იმიტომ, რომ ჩემპიონმა ერთმა უფერულად ჩაატარა გათამაშების პირველი ეტაპი და თავის მრავალრიცხოვან გულშემატყვიერებს ჯერ კიდევ მაშინ აღუძრა გარკვეული ეჭვები. „ლეიკერსის“ 16 მონაწილეში მეცხრე ადგილი (50 გამარჯვება, 32 მარცხი, 610 პრინციპული ფაქტობრივების და შარშანდელი ჩემპიონისთვის შეუფერებელი შედეგი და ავის მომასწავებელი სიმბოლო იყო. ეჭვი არ გვებარება იმაში, რომ დეტროიტელია წარუმატებლობის ახსნა შეიძლება ობიექტური მიზეზებით (აიზია თო, მასის, მოხეს მელორუნისა და სხვა საუკეთესო კალათბურთელთა სწორი ტრავმები), მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია გულშემატყვიერებისთვის, რომლებიც ფაქტობრივად მხოლოდ გამარჯვებას ითხოვენ.
გთავაზობთ ამ ნახევარფინალური ორთაბრძოლის ყველა შედეგს:
19 მაისი. „ჩიკაგო“ — „დეტროიტი“ 94:83
21 მაისი. „ჩიკაგო“ — „დეტროიტი“ 105:97.
25 მაისი. „ჩიკაგო“ — „დეტროიტი“ 113:107
27 მაისი. „ჩიკაგო“ — „დეტროიტი“ 115:94
მეორე ფინალისტის გამოვლენა, როგორც ხედავთ, კიანურდება, თუ

მცა კი ერთხანს „ლოს-ანჯელეს ლიკერსი“ გარკვეულ უპირატესობას ინარჩუნებდა. სხვათა შორის, „ლეიკერსის“ მეტოქეს „პორტლენდს“ ტურნირის პირველ ეტაპზე ნბას ჩემპიონატის 27 მონაწილეს შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა და ლიდერობა, ფაქტობრივად, მთელი გათამაშების მანძილზე არც დაუკარგავსა. მან ყველაზე მეტი ბრძოლა მოიგო (63), ყველაზე ცოტა წააგო (19) და პრინციპული შეფარდებაც სამი თვის მანძილზე საუკეთესო ჰქონდა (768). ამ მონაცემებით „ჩიკაგო“ მეორე იყო (61 გამარჯვება, 21 დამარცხება, 744 პრინციპული). „ლეიკერსი“ კი, რომელიც ჯერ კიდევ წინაა ნახევარფინალურ სერიებში თხრამე მარცხებულ ალბომანდა (58 მოგება, 24 წაგება, 707 პრინციპული).
ლოსანჯელესელი კალათბურთელები ჯერჯერობით ინარჩუნებენ უპირატესობას (ანგარიშია 3:2 მათ სასარგებლოდ), მაგრამ იგი ნელ-ნელა ქრება და თუ „მეიკი“ ჯონსონის გუნდმა რაიმე განსაკუთრებული არილიონა, „პორტლენდს“ შეუძლია ანგარიში გაათანაბროს, მერე კი ყველაფერი დამოკიდებული იქნება ბოლო, მეშვიდე მატჩზე, რომელსაც „ლეიკერსი“ შინ ატარებს (აი, კიდევ ერთი დამატებითი მანსი ლოს-ანჯელესის გუნდის სასარგებლოდ). როგორც ხედავთ, აქ კიდევ ბევრი რამ საინტერესო შეიძლება მოხდეს: 18 მაისი. „ლეიკერსი“ — „პორტლენდი“ 111:106
21 მაისი. „პორტლენდი“ — „ლეიკერსი“ 109:98
24 მაისი. „ლეიკერსი“ — „პორტლენდი“ 106:92
26 მაისი. „ლეიკერსი“ — „პორტლენდი“ 116:95
28 მაისი. „პორტლენდი“ — „ლეიკერსი“ 95:84

აშუ-დანარჩენი მსოფლიო

ალბი ორჯერ მოეწყო მატჩები საბჭოთა მოქალაქეთა ნაკრებსა და ე.წ. „დანარჩენი მსოფლიოს“ გუნდებს შორის. ორივე ეს შეხვედრა საბჭოთა ნაკრების მცირე უპირატესობით აღინიშნა. ამჯერად „დანარჩენი მსოფლიოს“ ნაკრები აშშ-ის მოქალაქეებმა გამოიწვიეს, ამასთან საინტერესო ის იყო, რომ ამ საერთაშორისო დღეღამეში საბჭოთა დიდოსტატები ვალერი სლოვი, ედემ გელერი და მსოფლიოს ექსპერტიზის მიხედვით ტალივ თამაშობდნენ. ერთი თავისებურება: მეტოქეები ორ-ორ პარტიას თამაშობდნენ, ოღონდ ერთი პირობით — თუ ვერცერთი მხარე ვერ მიაღწევდა უპირატესობას, მესამე შეხვედრაც დაინიშნებოდა. ეს მესამე პარტია უკვე ნახევარსაათიანი იყო: მეტოქეებს 15-15 წუთი ეძლეოდათ.
რა შედეგი მიიტანა ამ საინტერესო მატჩმა 8 დღეზე? საკმაოდ მოულოდნელად დამთავრდა ახალგაზრდა ამერიკელ დიდოსტატ ჯოელ ბენჯამინის შეხვედრა მსოფლიოს ექსპერტიზისთან ჰაბუკებს შორის, ფრანგული ჰადრაის იმედგალო ლიტვისთან. ბენჯამინმა ორივე პარტია მოუგო მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატს. ჯონ ფედოროვიჩი (აშშ) შეხვედრა შეგებრების ყველაზე ხანდაზმულ მონაწილეს, ნ წლის გელერს (საბჭოთა კავშირი). გელერმა შეხვედრით სიცილიურ პარტიაში მარცხი იწვნია, მეორე კი (ლაზიონის გამბიტში) ყაბით დამთავრა. ახალგაზრდა ამერიკელი დიდოსტატი მაქსიმ დლუგი, რომელმაც თავისი საჭადრაკო კარიერა მოსკოვის პიონერთა სასახლეში დაიწყო, იუგოსლავიელ დიდოსტატ სტეფან ჯორიჩს ეთამაშებოდა. ორივე შეხვედრა დლუგამ მოიგო და უფრო გაზარდა ამერიკელ მოქალაქეთა უპირატესობა. კიდევ ერთ წარმატებას მიაღწიეს ამერიკელებმა ამ ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონის ასერ სერიანისა და მსოფლიოს ექსპერტიზის ბორის სპასკის შეხვედრაში. პირველ პარტიაში, რომელშიც სპასკიმ კარო-კანის და-

ვა ბიჩჩია, გაიმარჯვა სერიანთან. მეორეში სპასკიმ თერთობით რვეცაში აიღო, მაგრამ მანც წააგო დამატებითი 15-წუთიანი პარტია.
სხვა 4 მატჩში წარმატებას „დანარჩენი მსოფლიოს“ ნაკრებმა მიაღწია, თუმცა შედარებით ნაკლები ანგარიშით. საკმაოდ მოულოდნელი იყო ცნობილი ამერიკელი დიდოსტატის ლარი კრისტინსენის დამარცხება 0,5:1,5 პოლონელ საერთაშორისო ოსტატ ალექსანდრ ვოიტკევიჩთან. ასეთივე ანგარიშით ბორის გულკომ (აშშ) წააგო ვალერი სლოვთან. ლევ ალბურტმა (აშშ) პირველ პარტიაში მოუგო ლუბოზმირ ლიუბოვიჩის (იუგოსლავია), მაგრამ წააგო მეორე და დამატებითი მესამეც. დაბოლოს, საინტერესო გამოდგა რომან ჯინჯიხაშვილისა და მიხეილ ტალის მიკრო-მატჩი. ჯინჯიხაშვილმა შეხვედრით ყაბმ მიიღწია, მაგრამ მეორე შეხვედრაში, სადაც ტალმა მეტად ორიგინალურად გათამაშა დებიუტი, ყოფილმა თბლისელმა 31-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ავტორის სტატიონი
(ბოქორის ქ. № 18)

31 მაისი • ვახუშტის
საქართველოს ეროვნული
ჩემპიონატი
(I ლიბა)
„მრბეპი“ (თბილისი) —
„დურუჯი“ (ყვარელი)
დახაწყები 18 საათზე.

„როლან გაროსის“ სიურპრიზები

პარნი. ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირებში ძნელია გრაფიკის დაცვა. უმეტესწილად იგი ან ამინდის გამო ირღვევა, ან კიდევ იმიტომ, რომ მონაწილენი აკრებენ დროის რეგლამენტს. აი, ახლაც ზოგმა ეს-ესაა დაამთავრა საფრანგეთის ღია ჩემპიონატის სასტარტო შეხვედრა, ზოგმა კი უკვე მესამე წრეში მოახერხა გასვლა დაწინაურებული შორისაა გერმანელი შტეფი გრაფი, რომელმაც მეორე წრეში გაანადგურა ჩეხოსლოვაკიელი პეტრა ლანგროვა — 6:0, 6:1.

პირველი წრე „როლიან გაროსის“ კორტებზე საბედისწერო გამოდგა ბევრი ძლიერი ჩოგბურთელისთვის. ტურნირის გამოეთიშენ ჯონ მაკინროუ და ბრედ ჯილბერტი (ორივე — აშშ), გილერმო პეტრს-როლანი (არგენტინა) და თომას მუსტერი (ავსტრია). საგრძობი დანაკლისი განიცადა საბჭოთა კავშირის ჩოგ-

ბურთელების რაზმშიც. ჯერ იყო და, ალექსანდრე ვოლოკოვი დანებდა შედეგ პეტერ ლუნსგერს, მერე მისი ბედი გაიზიარა ლარისა სავენკომ, რომელიც აბსოლუტურად უცნობ ფინელთან — პეტრა ტორენთან დამარცხდა. ტურნირის გამოეთიშა მისიველი ნატალია ზეერევა — მეორე წრეში მას ამერიკელმა ენ გროსმანმა აჯობა.
სპეციალისტები მიმდინარე ტურნირის მთავარ სენსაციად ესაზიარებენ, ფინიდან იგი, არცთუ უსაფუძვლოდ, ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფაქტობრივად ითვლებოდა (წლეულს მან მონტე-კარლოს ტურნირის ფინალში თვით ბორის ბეკერი დაამარცხა).
სხვათა შორის, ბეკერს მინც და მანც არ უყვარს მიწის კორტებზე თამაში. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მას ჯერ არც ერთი მსგავსი

ასპარეზობა არ მოუგია: აი ახლაც, იგი სასწრაფოდ გადარჩა მარტის ახალგაზრდა ავსტრალიელ ტოდ ვულბერთან შეხვედრაში. ბეკერმა წააგო პირველი ორი პარტია, ავებდა მესამესაც (1:3), მაგრამ გამოინა საოცარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიჭიქტე და თითქმის „თაბით“ შემოამარუნა ბრძოლა თავის სასარგებლოდ. 4-საათიანხვედრამ მარათონული პარტია დამთავრდა ბეკერის გამარჯვებით — 3:2 (5:7, 1:6, 6:4, 6:4, 6:4).
საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ასობით მონაწილეს შორის ყველაზე დიდ სიმბათებს და მოწიწების გრძობას იმსახურებს 40 წელს მიზლოებული ამერიკელი ვეტერანი ჯიმი კონორსი. პირველ წრეში მან შედარებით ადვილად სძლია ახალგაზრდა თანამემამულეს ტოდ უიტსკენს (3:0), მეორეში კი შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა პატიული რონალდ ჯენორის მხრიდან. შეხვედრა, რომელიც 3 საათსა და 39 წუთს გრძელდებოდა, დამთავრდა ვეტერანის გამარჯვებით — 6:4, 6:2, 3:6, 0:6, 6:4.

„ლელო“ დღევანდელ ნომერზე მორეკლამა ლ. ჯავახიშვილი, კორექტორები: მ. ქეძამიძე და ე. ზომბერი.

ჩვენი მისამართი:
წერალებისთვის — 280096
თბილისი, მ. კახაძის, 14,
დეპუტატების — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერალების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მართვი“ — 93-97-27.

06 მაისი
INDEX
ИНДЕКС
66435

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20